სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцелл"
Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა
„სახელმძღვანელო"
სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების
მოწაფეთათვის
შედგ. მღვ. ნ. ჟუჟუნეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—1)

ქართველ სახელოსნოების საზოგადოება



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განახორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყოველნაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—49)

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—78)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—56)

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Ϋ.)

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება ღირსისა
ალექსის ღვთის კაცისა
(სურათით)
მეორედ გამოცემული
მორჩილის რ. ბარამიძის მიერ
ფასი ერთი შაური (10—7)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვ შავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისთვის, ელექტრონით წამლობისათვის და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

კბილის ექიმი
ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—22)

## ახალი ამბავი

* * * ალ. ხახანაშვილის ავადმყოფობა. მკითხველებს ეხსომება, რომ ამას წინად გაზეთ „ივერიამ" აუწყა ყველას ჩვენი ახალგაზდა პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის ავადმყოფობა. ამ ამბავმა ყველა ძლიერ შეაწუხა და დაანაღვლიანა. ეხლა, როგორც თვითონ პატივცემული ალექსანდრე ხახანაშვილი გვატყობინებს დეპეშით, მისი მდგომარეობა უკეთ არის და იმედი მაქვს მალე გამოვკეთდეო.

* * * ავადმყოფი ბ. ავალიშვილისა მის ნათესავებს სოფელში წაუყვანიათ, მაგრამ, როგორც ამბობენ, იქ დიდხანს ვერ დარჩება, რადგან რიგიანი მოვლა ძნელიაო და თითქმის შეუძლებელიაო, უთუოდ საჭიროა სამკურნალოში უწამლონო.

* * * ექსარხოსის წირვა. კვირას, 8 ნოემბერს, საქართველოს ექსარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, გორის ეპისკოპოსის ლეონიდის თანამსახურებით გადაიხდის სამღვთო წირვას ავლაბრის მიხეილ-მთავარანგელოზის ეკკლესიაში, ტაძრის დღეობის გამო. შაბათს მლოცველი იქნება ხსენებულ ეკკლესიაში ყოვლად-სამღვდელო ლეონიდე.

*** **ქუჩების დასუფთავება.** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, მიეცით ტფილისის პოლიცმეისტერს 500 მან. ქალაქის ქუჩების დასასუფთავებლად სახლის პატრონების ხარჯზედ.

*** **მოწაფეთა დაკარგვა.** გორის მაზრის აზნაურმა იოკიმე ორჯონიკიძემ 4 ნოემბერს პოლიცმეისტერის გამგეობას წარუდგინა განცხადება, ჩემი შვილი პავლე, 17 წლისა, მიხეილოვის რკინის გზის სასწავლებლის მოწაფე, ამ რამდენიმე დღის წინად სადღაც დაიკარგა იმავე სასწავლებლის მოწაფეებთან, გელაშვილსა, ურთხმელაძესა და ბოგერიასთან ერთად. გამცხადებლის ფიქრით ეს ყმაწვილები ტფილისში არიან!

*** **ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანება.** რადგან უმეტესი ნაწილი ეზოებისა, ქუჩებისა და სავაჭრო მოედნებისა სანიტარული მხრით ცუდ მდგომარეობაშია, ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა განყოფილებათა ბოქაულებს, პირადად დაათვალიერეთ თქვენ-თქვენი განყოფილებების ბინძური ადგილები, შეადგინეთ ოქმები სახლის პატრონთა მიერ სასანიტარო წესების დარღვევის შესახებ და დაუყოვნებლივ მიიღეთ კანონიერი ზომები ხსენებულ ადგილების დასასუფთავებლადაო. განყოფილებათა ზედამხედველებს დაევალათ ყოველ დღე დილის 8 საათამდე, ჩამოიარონ ქუჩები და მოედნები და მოახსენონ ადგილობრივ ბოქაულებს თვის მიერ შენიშნული უწესოება სანიტარულ მხრით. ამავე დროს მათ უნდა წინადადება მისცენ სახლის პატრონებს ან მათ სამაგიერო პირთ მიიღონ ზომები სანიტარული უწეს-რიგობის მოსასპობად. ამასთან ბ. პოლიცმეისტერი აფრთხილებს ბოქაულთ და პოლიციის სხვა მოხელეთ, თუ რამ დაუდევრობა შეგნიშნეთ ამ საქმეში, სასტიკად დაგსჯითო.

*** **ყვავილის აცრა.** ქალაქში ყვავილის აცრის გასაძლიერებლად ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს ორი ფერშალი და საბჭოს ერთ-ერთი ექიმის ხელმძღვანელობით შეადგინოს დასი, რომელმაც ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ ყვავილი უნდა აუცრას სახლებში. ფერშლების დასაქირავებლად გადადებულია 200 მან.

*** **ტფილისის გამგეობის წევრთა არჩევნები.** 9 ნოემბერს ტფილისის ქალაქ საბჭოს სხდომა დანიშნავს დროს, როცა უნდა მოხდეს ქალაქის გამგეობის წევრთა არჩევნები ა. ა. ივანენკოსა და ხ. ა. ვერმიშევის ადგილზე.

*** **დ. დუმბაძის განთავისუფლება თავდებობით.** გუშინ, 5 ნოემბერს, ყვარელის სკოლის მასწავლებელი დიმ. დუმბაძე, რომელსაც ბრალდებოდა შმაკოვის ქალის მოკვლის განზრახვა, განათავისუფლეს სატუსაღოდან ჯაბა გურიელის თავდებობით.

*** **ქალაქის ქუჩების უსუფთაობის გამო.** ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა ტფილისის ქუჩები და მოედნები და დარწმუნდა, რომ ქუჩები და მოედნები ძლიერ უსუფთაო არისო, განსაკუთრებით ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, იარმუკა და შუა ბაზარი. კავკასიის მთავარ-მართებელმა ბრძანა, რომ ქუჩებისა და მოედნების უსუფთაობაში ბრალი ედებათ ქალაქის თვით-მმართველობასა და პოლიციას, რომელნიც მოვალენი არიან თვალ-ყური ადევნონ ქუჩების სისუფთავესაო. ბ-ნმა გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, დაუყონებლივ დაასუფთავეთ ტფილისის ქუჩები, მოედნები და გამოეცით განკარგულება, რომ სახლის პატრონებმა დაუყონებლივ შეასრულონ სასინატარო მზრუნველობის ყოველგვარი კანონიერი მოთხოვნილება.

გუშინვე, 4 ნოემბერს, ქალაქის მოურავმა დაუგზავნა სასანიტარო მზრუნველებს მიწერილობა იმის შესახებ, რომ გუბერნატორის ბრძანება დაუყონებლივ იქმნეს აღსრულებულიო.

*** **სოფ. ძიროვანი** (იმერეთი) **გაუთავებელი საქმე.** ძიროვანი ძლიერ დიდი სოფელია. ეს სოფელი მიწის მზომელმა შიპილევმა მთელი ორი წელიწადი გულ-მოდგინეთ მიჯნა. ბოლოს, როგორც იქმნა, დაამთავრა თავისი მუშაობა და მისი შედეგები აუწყა ქუთაისის სამიჯნავო ოლქის სამმართველოს. 1877 წლიდან მოკიდებული თითქმის მთელი ცხრა წელიწადი საქმე ხელ-უხლებლად იდვა, მხოლოდ მეათე წელიწადს, 1885 წელს განხილულ იქმნა თ. სიდამონ ერისთავის თავმჯდომარეობით. ხაზინის მხრით საქმეს იცავდა აწ უკვე გარდაცვალებული სავანელი. როდესაც საქმე გაირჩა ადგილების უმეტესი ნაწილი გლეხებს მიანიჭეს, მაგრამ ეს განაჩენი ფუჭი გამოდგა. ხაზინის მეორე ვექილმა ბ. ეჯუბოვმა საქმე აპელაციური წესით გადაიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში. შემდეგ აღარც გლეხები დასთანხმდნენ ოლქის განაჩენს და მათაც თავ-თავის მხრით გადაიტანეს პალატაში საქმე ხაზინისა და აგრეთვე ერთმანერთის წინააღმდეგ. ეს აპელაციური გასაჩივრება მათ არ დასჯდომია იაფად: თითქმის ხუთასი მანეთი მეტი დაუჯდათ. 1885 წლიდამ საქმე პალატაში დარჩა 1894 წლამდე გამიჯვნიდგან. წელიწადი დაუკლდა ოცს წელიწადს, მაგრამ, როგორც იყო, 1894 წელს, 15 იანვარს საქმე გაირჩა პალატაში; ხაზინის მხრით საქმეს იცავდა ბ. ზახარსკი. გლეხების მხრით ნაფიცი ვექილი ბ. ოგულოვიჩი. ყველა გლეხებს ვექილი არ ყოლია და არც არვინ მათგანი დასწრებია საქმის განხილვას, მეთოდე და ანდრია ქათამაძეთა გარდა. ამ უკანასკნელებმა აიყვანეს ვექილად ბ. ოგულევიჩი. თვრამეტს იმავე იანვარს პალატამ გამოაცხადა თავისი განაჩენი. ბ. მეთოდი ქათამაძის მეცადინეობით, მრავალი მამული მოგებული დარჩა, გლეხების სასარგებლოდ, ხოლო წაგებულია კი ცოტა. და ამ ჟამად გლეხები სახელმწიფო ბაჟს იხდიან, მხოლოდ წაგებულ ადგილებზე. ბ. ქათამაძე ამას არ დასჯერდა და სენატში საკასაციო საჩივარი გადაიტანა მთელი სოფლის მხრით. ჯერ-ჯერობით საქმეს აყოვნებს ის გარემოება, რომ პალატა იკვლევს, ვინ გარდაიცვალა გამიჯვნის შემდეგ დღემდე. მაგრამ როგორც კი სამოსამართლო პალატა ყოველსავე ამას დაამთავრებს და მთელი საქმე გადავა სენატში. მაგრამ ვაი თუ სენატმა რომელიმე მუხლის ძალით პალატის განაჩენი დაარღვიოს და საქმე ისევ პალატას გამოუგზავნოს გასარჩევად. მაშინ კი აღარ ვიცით, მოესწრებიან თუ არა ძიროვანის მცხოვრებნი საქმის გათავებას! სწორედ დიდი ბედნიერება იქნებოდა მცხოვრებლებისათვის, რომ გამმიჯნავი კომისია ალაგობრივ იკვლევდეს, რომ ყოველ დავას და იქვე არ ადავებდეს საქმეს ასეთ შემთხვევაში მოსვენებულნი იქნებოდნენ ზედ-მეტი დავიდარაბისაგან, თვით სამმართველო დაწესებულებანი და ადგილების მეპატრონენიც. სწორედ დიდი გულ მომთმენი კაცი უნდა, რომ ოცი—ოცდა ათი წელიწიდი საქმეს სდიოს, თვითეულ ფურცელ ქაღალდს ოთხ-აბაზიანი მარკები აკრას და არც იცოდეს, თუ საქმე რით გაუთავდება. ასეა დღეს სოფ. ძიროვანის მცხოვრებთა საქმე. ვისურვებთ, რომ მათთვის მანიფესტს ის ჯარიმა მაინც ეპატიებინოს, რომელიც პალატამ 1894 წ. დაადვა.

მესალმე

*** **ს. ტყემლოვანა** (იმერეთი) **სკოლის საქმე.** აგერ ოთხი-ხუთი წელიწადი იქნება, რაც აქაური ერთ-კლასიანი სასწავლებლის საქმე ისე აირია, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთ მოწაფესაც არ მიუღია სწავლის მოწმობა და მოწაფეც რიცხვით ძალიან მცირე იყო. ეს გარემოება უფრო იმას უნდა მიეწეროს, რომ ამ ხნის განმავლობაში ხსენებულმა სკოლამ თითქმის ათი მასწავლებელი გამოიცვალა და მცხოვრებლები იძულებულნი ხდებოდნენ, რომ შვილები სასწავლებელში არ მიებარებინათ, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქ ბავშვები ტყუილად სცდებოდნენ. მაგრამ წელს, სასიხარულოდ, უკეთ წავიდა სასწავლებლის საქმე, რადგანაც მასწავლებლად აქაური მცხოვრები დანიშნეს, რომელიც ბავშვებს რიგიანად ასწავლის. ამ ჟამად სასწავლებელში სამოცამდე მოწაფე სწავლობს და ეს რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ყველა მოწადინებულია, რომ თავისი შვილები სასწავლებელში მიაბაროს. მადლო[ბის] ღირსია გულ-მოდგინე შრომი[სათ]ვის სკოლის მასწავლებელი ბ[-ნი] ი. წერეთელი.

ნ. გაჩეჩილაძე

*** **ს. ნაგომარი** (გურია). **აქაური ძველი და ახალი ამბები.** მახსოვს ის ბედნიერი დრო, როცა ნაგომარი სხვა და სხვი საკეთილო დაწესებულებაებით, თითქმის გურიის სატახტო ქალაქს ოზურგეთს არ ჩამოუვარდებოდა. დროს შესაფერად, აქაც მოძრაობა და სიცოცხლის დუღილი მყო... ამ თუთხმეტი წლის წინად, როცა გურია ცალკე ეპარქიას შეადგენდა, ნავომარში იყო საეპისკოპოზო კათედრა და სცხოვრებდა შიგ ყოვლად-სამღვდელო გაბრიელ ტუკია, მაგრამ შემდეგ მისი გარდაცვალებისა, ცოტა ხანში შეერთებულ იქმნა გურია-სამეგრელოს ეპარქიები და საეპისკოპოზო კათედრაც სამუდამოდ გადატანილ იქმნა ქ. ფოთში.

აქვე, ათის წლის წინად იყო გაბმული ტელეგრაფის მავთულები და ცხენის ფოშტა, რომლის შუალებით გამუდმებული მსვლელობა იყო ოზურგეთიდან საჯავახომდე, მაგრამ შემდეგ ამ უკანასკნელმაც განისვენა წიაღსა შინა აბრამისასა. თუმცა ეხლა ბევრს ვემდურებით „ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა ამხანაგობას": გვიშველეთ რამე და გამართეთ ეტლით მისვლა-მოსვლა ჩოხატაურამდეო, მაგრამ ყოველთვის შემდეგ პასუხს ვღებულობთ: 800 მ. შეგვეწიეთ (მიუხედავად იმისა, რომ ნაგომრიდან სამი წევრია ჩაწერილი ამხანაგობაში) და მაშინ გავხ[…]

თქვე დალოცვილებო, ჩვენ რომ იმდენი ერთობა გვქონდეს რომ 800 მან. შევაგროვებდეთ, იმდენ ენერგიასაც გამოვიჩენთ, რომ 400 მ. მიუმატებთ და მაშინ ხომ 1200 მ. საკუთარ ეტლსაც გავიჩენთ, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ვერ ვახერხებთ.

ამ ექვსი წლის წინად იყო კიდევ აქ მთავრის მიერ დაარსებული საავადმყოფო ქსენონი ერთი ექიმით, ოთხი ფერშლით და ერთი ბებია ქალით. პირველ ორ წლებში საქმე კარგად მიდიოდა და ბევრი სნეული და დავრდომილი განიკურნენ ამ დაწესებულებების წყალობით, მაგრამ შემდეგ ჩარხი უკუღმა დაგვიტრიალდა: რაღაც გარემოებით აგვიმიზეზდა ბ. ექიმი აქაო და სახლი არ ვარგა და წამლები ფუჭდებაო; როცა უპასუხეს, რომ ახალ სახლს ავაგებთო, მაშინ ზედ დასძინა, რომ აქ ჰაერიც ცუდია და ცხოვრება არ შემიძლიაო. (თუმცა ეს ვერაფერი თავის გასამართლებელი საბუთი იყო) ეს იყო და ეს! შეიქმნა ერთი „დანოსების“ წერა გუბერნიის ექიმთან... მერე? მერე და დანოსებმა თავისი გაიტანა ეს და ეს დაწესებულებაც გადატანილ იქმნა დ. ჩოხატაურში. ამნაირად ეს ერთად-ერთი სახალხო დაწესებულებაც აცდა თავის მიზანს, რადგან ნაგომარი. როგორც მოგეხსენებათ, შუაგულია გურიისა და მაშასადამე უმრავლესობაც აქედან უფრო მეტს ისარგებლებდა.

იყო აქ და რა იყო? იყო მდინარე სუფსაზე ხიდი, რომელიც 1895 წლის წყალდიდობამ იმსხვერპლა. ეს ერთად-ერთი ხიდი იყო მთელს გურიაში, რომლის მეოხებით წყალდიდობის დროს გაჰქონდა ხალხს თავისი ნაწარმოები ქ. ფოთს გასასყიდათ. მართალია, ინჟენრები ყოველ წლობით ჩამოდიან აქ და ათვალიერებენ სახიდე ალაგს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ველირსეთ ხიდის გაკეთებას და ალლახმა უწყის, როდის ველირსებით.

ასე და ამგვარად, ჩემო მკითხველო, თუ რამ გვქონია, გაგვქრობია ვითარცა შარშანდელი თოვლი, მხოლოდ დაგვრჩენია წარსულისაგან ციხის ნანგრევი, ეს ნაშთი ჩვენი ძლიერებისა და „მარინობა“ (იარმარკა) პირველი უწყალო სტიქიონის ძალით, თუ ადამიანის ხელით უკვე განადგურებულა, მხოლოდ აქა-იქ კვლავ შერჩენია ნახევრამდე ჩამოფუშული კედლები, რომლებიც გრძნობენ რა თავის ობლობას, ცრემლ-მორეული სუფსას გადასცქერიან და მისტირიან თვის დამარცხებას, დაკარგულ დიდებას... მეორე-კი ერთად-ერთი ყოველ წლიური ბაზარია მთელი გურიის ნაწარმოებისა. მართალია, ურიები ბევრს გახუნებულ ჩით-ნარმას ასეღებენ, მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც მოძრაობა და აღებ-მიმცემობაა.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ნაგომარში არის ამ ოთხი წლის წინად დაარსებული აფთიაქი. სცხოვრობს შიგ ორი ფერშალი, ერთი მათგანი გადამთიელია, დანოსების წერაში მეტ დროს ხარჯავს, ვინემ ავათმყოფების შინჯვაში.

არსებობს აგრეთვე ერთი სამრევლო სკოლა, რომლის დაზიანებული კედლები და სახურავი შეკეთებას თხოულობს და ამ მოკლე დროში გახსნილი წიგნთ-საცავი. სექტემბერში სამმა საზოგადოებამ: ასკანამ, ბასილეთმა და აკეთმა თხოვნა გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო, უწმ. სინ. მიერ გადმოცემული მეორე ორკლასიანი სამრევლო სკოლის გახსნის თაობაზე ნაგომარში. ეს სკოლა თხოულობს ყრუ ალაგს სწავლა-განათლების მხრივ და რასაკვირველია ამ შემთხვევაში ნაგომარს პირველი ალაგი უჭირავს შედარებით სხვა სოფლებთან, რადგან ძიმითის ორკლასიანი სამინისტრო სკოლა მოშორებულია მასზე 8 ვერსით, ასკანისა 9 ვერ, ბასილეთის 7 ვერ. და აკეთისა კი 3 ვერ., მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა, ზოგი აღმა წეწავს და ზოგი დაღმა. ვნახოთ სიმართლეს დარჩება გამარჯვების მოედანი, თუ „პროტექციას“... თუმცა აქაური მკვიდრნი დიდათ დარწმუნებული არიან, რომ ეს სკოლა არ აგვცდებაო, მაგრამ მე მაინც ვეჭობ, რადგან „ბედი უბედო ჩვენზე არ ახალია, ძველია“.

მაჩანჩალა

* * * **ს. ხაჯალია** (ოზ. მაზრა). **სამრევლო სკოლის აწმყო.** წელს ოთხი თუ ხუთი წელი სრულდება, რაც ს. ხაჯალიაში სამრევლო სკოლა დაარსდა, რომელსაც დღემდის დიდი გაჭირვებით მოუღწევია. ამ სკოლას არც თავისი მიწა ჰქონია, ის მიწა, რომელზედაც ამ ჟამად დგას, მასწავლებელის სიტყვით, აქაური სახელმწიფო გლეხების საკუთრებაა, რომელთაც ან ბაჟი უნდა მიეცეს ან და ბავშვი ნახევარ ფასად უნდა გაუზარდონ სკოლაში და შენობაც უვარგისია: სახურავი სახურავს არა ჰგავს, კედლები კედლებს და იატაკი-იატაკს. ეს სკოლა, უკეთ რომ ვსთქვათ, „უწვიმო ზაფხულის“ სკოლაა. ასეთ სკოლაში შეუძლებელია სწავლამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღოს. ერთ დღეს დავესწარი ამ სკოლაში გაკვეთილებს, მაგრამ, ვაი ისეთ დასწრებას! ბავშვების სიბრალულით გამოსასვლელი კარები ვერ მიმეგნო; ან კი კარები რა საჭირო იყო, რომელი მხრითაც გაიწევი, იქ გახვალ კედელში მაგ.: ბუხრის მზგავსი ისე დაშორებულია თავის მეზობელ ბოყვებს, რომ დიდი სიფრთხილე უნდა, მოსწავლემ ცეცხლით გათბობის დროს ცოტა ხელის წაკვრით გარეთ არ გააგდოს თავისი ამხანაგი. საშინლად ძაგძაგობდნენ საწყალი ბავშვები, თვალებში სიცივისაგან ვეცხლის ფრად უბჭყვრიალებდათ ცრემლები და მოსწავლის წინ მაგიდაზე სახურავიდან ჩამონადენი წვიმის ცვრებს ტიკ-ტიკი გაჰქონდათ, ახლა იმედია თქვენც წარმოიდგენთ, თუ როგორი წარმატებით უნდა სწარმოებდეს ასეთ სკოლაში სწავლის საქმე. ვისი ბრალია სკოლის ასეთი უნუგეშო მდგომარეობა? მასწავლებელს აქ ბევრს ვერაფერს ვუსაყვედურებთ, განა ისეთ მასწავლებელს შეუძლია ან მოეთხოვება სხვას თანაუგრძნოს, რომელიც სხვისგან თანასაგრძნობია?!. იგი სიღარიბის გამო, როგორც ამბობენ, წულსაც ვერ იცვლის საჭიროების დროს. სკოლის მმართველი აქამდის ენერგიულ დახმარებას უწევდა სკოლას, ეხლა კი უფრო „რიხი-რიხის“ მომავალზე შესტკივა გული და სკოლაზე საუბრის ჩამოგდება სასტიკად ეჯავრება. როცა მას ერთი პირი დაეკითხა: რაო შენი სკოლა სწავლის რომელ საფეხურზე სდგაო? მან ცალყბად უპასუხა: იმაზე, რომელზედაც მე მივახწევიეო. მასწავლებელი ამობს: „პასობიაც“ გვეძლევა ცოტ-ცოტად სკოლის შესაკეთებელი ფულიც მივიღეთო. მაგრამ „მეფუტკრები“ თაფლის გამოღლეტილი კუჭის დასაკერებლათ „ჰამუს“ უშვრებიან და თითზედ, რომ არ დააჩნდეთ „გაილოკვენ“ ხოლმეო. ამიტომაც არის, რომ არავინ შემწეობას არ აძლევს ხსენებულ სკოლას, თორემ ჯურუყვეთისა, ჩიბათისა და სხვა სოფლების სკოლებზე რატომ არიან გადამკვდარნი მათი ადგილობრივი სამღვდელოები? ჩვენი სკოლის მეპატრონე მრევლმა კი რა უნდა ქნას, როდესაც „მენავემ“ სკოლა მდინარის შუა უფსკრულამდის მიიყვანა და იქ კი მშვიდობითო, უთხრა!? ხალხი რომ ეუბნებოდა სკოლის მზრუნველს: „ოღონდ შენ გვიწინამძღვრე და ჩვენ სკოლის გასაუმჯობესებლად, შეძლებისა დაგვარად, ყოველ ღონეს ვიღონებთო“.—კიო, მაგრამ „რიხი-რიხიო“. იყო პასუხი.

ბინდი

* * * **სოფ. ჯვარცმა** (გურია). **სამრევლო სკოლის მდგომარეობა.** ერთი წელიწადია, რაც ამ სოფელში დაარსდა სამრევლო სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად სწავლობს 35-მდე ბავშვი ორივე სქესისა. ამ სკოლის დაარსებაში დიდი შრომა მიუძღვის ადგილობრივ მღვდელს მამა ილარიონ მგალობლიშვილს და აზნ. მიხ. ჟღენტს, რომელთაც სკოლას შემოსწირეს ორმოც-და-ათ-ორმოც-და-ათი მან. შენობის ასაგებად და შემდეგისთვისაც აღუთქვეს დახმარება ფულით თუ სხვათი. რაც შეეხება სხვებს, ჯერჯერობით ძლიერ გულ გრილად ეკიდებიან საქმეს. შემწეობა რომ სთხოვოთ სკოლისათვის, ასე გიპასუხებენ: სულ გადასახადი და გადასახადი, არ გვინდა შენი კლასი, ოღონ თავი დაგვანებეთო, ქე გვაქ ერთი კლასი (სამინისტრო სკოლა) და მეტი არ გვინდაო. მაგრამ შემწეობას ვინ სთხოვს, ოღონდ თავიანთ ბავშვებს სასწავლო ნივთებს უყიდდნენ. მართლაც, უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ისეთი ღარიბია, რომ მეტი იქნება მათ შემწეობა ვთხოვოთ. როგორც ვიცით, სამრევლო სკოლებში უმეტეს ნაწილად ობლები და ღარიბები არიან, რადგანაც აქ უფრო ხედვენ შეწყნარებას, ვინემ სხვა სკოლებში. უმორჩილესად ვთხოვთ ქველ მომქმედ პირთ, მოგვაწოდონ ბავშვებისათვის სასწავლო ნივთები და ან ფულით აღმოგვიჩინონ შემწეობა. გასულ წელს ერთმა 30 მან. შემოსწირა ჩვენს სკოლას სიტყვით, მაგრამ ჯერ არაფერი მიგვიღია. ალბად არ ახსოვს, თორემ ის, როგორც განთქმული ქველმომქმედი, არ წაიყრუებდა. ამასთან გავახსენებთ მასვე, რომ მის სახელზე ჩვენდამი რწმუნებულს სკოლაში შემოყვანილი ბავშვი ი. ასამბაძე დღესაც ჩვენთან არის და ყოველსავე მოთხოვნილებას ჩვენ ვუკმაყოფილებთ იმ იმედით, რომ ის ქველ-მომქმედი უყურადღებოდ არ დაგვტოვებს და თავის დანაპირებს შეასრულებს,

ჩვენი ადრესი: Въ м. Чохатаури, учителю Джварцмской церковно-приходской школы Сардіону Мгалоблишвили

ჯვარცმის სამრ. სკოლის მასწავლებელი
სარდიონ მგალობლიშვილი

## რედაქციისაგან

**ჯგალში** ვ. თოდუას. თქვენი წერილი ივლისში ცხენის მოპარვის შესახებ დაგვიანებულია და ეხლა არავითარი ინტერესი არა აქვს მკითხველთათვის.

**სამტრედიაში** მოვაჭრეთაგანს. რადგან ორივეზე ყოფილა სხვა-და-სხვა დროს დაწერილი შენიშვნები, ჩვენა გვგონია ეხლა ერთის დასარჩლება მეტი უნდა იყოს.

**ქუთაისში** ილია. მართლაც რომ სამწუხარო ამბავს იუწყებით ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში მომხდარ უსიამოვნებაზე ჯვარის-წერის დროს, მაგრამ ეს ამბავი გამოსაქვეყნებლად შეუძლებელია ისევ ისა სჯობს, რომ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას ეუწყოს ყველაფერი.

**ტფილისში** ზ—ს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

# სხვა-და-სხვა ამბავი

—

**ბისმარკის ტვინი.** პროფესორმა შაფერმა, ოტო ამონმა და გერცმა ამას წინად გამოიკვლიეს გარდაცვალებულ ბისმარკის ტვინი და აღმოაჩინეს, რომ ეს ტვინი ყველა ჭკუით ცნობილ ადამიანების ტვინზე უფრო მძიმეა, გარდა კიუვეს ტვინისა. საშუალო ჭკუის მქონე ევროპიელის ტვინი იწონის 1350 და 1400 გრამს, ხოლო იმ შესანიშნავ ადამიანების ტვინი, რომლებიც სიკვდილის შემდეგ გასჭრეს, იწონიდა: დანტესი—1,470 გრამს, შილერისა—1,596, კანტისა—1,624. ბაირონისა—1,792, ბისმარკის ტვინი იწონის 1,807 გრამს, ხოლო კიუვესი, 1,820-ს.

— —

**ძეხვის ათასი წლის იუბილეი.** გერმანიამ ამ დღეებში გადაიხადა ძეხვის (კალბასის) ათასი წლის იუბილეი. გერმანიის გაზეთების სიტყვით ნემცებმა ეს იუბილეი ვერ გადაიხადეს ისეთი დღესასწაულით, როგორც შეეფერება ამ ეროვნულ გამოგონებას, ამბობენ, რომ ძველმა ქვეყნებმა ძეხვის ნაწილში იცოდნენ მხოლოდ ქონით და სისხლით გატენილი თხის ნაწლავების კეთება მხოლოდ ამ ათასი წლის წინად ვიღაც მოხერხებულმა ნემეცმა, რომლის სახელი არ დაუხსომებია ისტორიას, მოიგონა ძეხვის გაკეთება დაკეპილ ღორის ხორცით იმ რიგად, როგორც ახლა აკეთებენ. ხუთასი წელიწადი გავიდა, სანამ ძეხვი გავრცელდებოდა ევროპაში. ფრანკფურტის ძეხვი ცნობილი შეიქმნა მეთექვსმეტე საუკუნეში, ე. ი. მას შემდეგ, როცა მეძეხვე ნემცებმა დაიწყეს პილპილისა და ზაფრანის ხმარება.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აკრძალულ იქნას ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზეთის „ნოვოე ვრემიასი“.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ყირიმიდგან პეტერბურგში მობრძანდა.

**ნიუ-იორკი.** ზღვათა მინისტრმა ლონგმა ბრძანა, ვიდრე ესპანია გადასწყვეტს ფილიპეს კუნძულების შესახებ საქმეს, საომრად მოამზადოს 4 სამხედრო გემი და რიოში დასტოვოს საბრძოლო გემები „ორეგონი“ და „იოვა“

**ჟენევა.** ლუკენიმ შეიტანა, ჩემი საქმე ხელმეორედ გაარჩიეთო.

**ვენა.** საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი მობრძანდა.

**პარიზი.** სენატი. კონსტონმა წინადადება შეიტანა—სამხედრო სამართალში მიცემულთ ნება მიეცეთ ისარგებლონ 1897 წლის კანონით, ე. ი. გამოძიებას დაესწრნენ ხოლმე ბრალდებულთა დამცველნი. კონსტონი თხოულობს, ეხლავე გადასწყდეს ეს საქმეო. ლებრეა თან, ხმაა ამ აზრისა და თან დასძენს—რომ მთავრობა ეთანხმება ამ წინადადებას. პალატა დასთანხმდა, რომ ეს საქმე დაუყონებლივ იქმნას განხილულიო.

**პარიზი.** ბუაიემ ისეთივე წინადადება წარუდგინა პალატას, როგორც კონსტონმა. ბუაიემ სთქვა, სასურველია, რომ ჩემი წინადადება შეწყნარებულ იქმნას შესახებ პიკარის საქმისა, რომელიც დევნილ იქმნა იმ საქმეთათვის, რომელნიც არ გამართლდნენ იმის დატუსაღების შემდეგ. (დაწუნების ხმა ისმის შუაგულ ადგილიდანა და მარჯვნივ). ბუაიე ამტკიცებს, ეს საქმე დაუყონებლივ უნდა იყოს განხილულიო. ფრეისინე უპასუხებს, რომ პარიზის გუბერნატორი ჰმოქმედობს პიკარის შესახებ, თანახმად იმ კანონისა, რომელიც უკრძალავს ბრალდებულს ვექილთან ყოველსავე მოლაპარაკებას. ფრეისინე არ ეთანხმება კანონის ასეთს სისასტიკეს და იწყნარებს ბუაიეს წინადადებას, ხოლო არ ეთანხმება მის მიერ წარმოთქმულ საბუთებს. (ტაშის ცემა). პალატამ გადასწყვიტა, ეს საგანი დაუყონებლივ იქმნნას განხილულიო.

**პარიზი** საკასაციო სასამართლომ გადასწყვიტა—დრეიფუსს აცნობონ რაც შეიძლება მალე, რომ იმის საქმის გამოძიებას შეუდგნენ.


# გამოცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემგან წაღებული აქვთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ყულაბები, კეთილ ინებონ და დაუბრუნონ დროისით ხსენებული ყულაბები საზოგადოების კანცელარიას. ეს თხოვნა შეეხება იმათ, რომელთაც პირველად დაურიგდათ ყულაბები.

(5—1) ნინა ყიფიანისა

ქერის ყავა
(სოლომონისაგან)
ერთი გირვანქა ღირს 25 კაპ.
იყიდება ყველა სავაჭრო მაღაზიებში
(6—2)




ღვინის სარდაფი

„იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავლენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

„იყალთო“

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანეთამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**

Князей Г. и Л. Макаевыхъ

подъ фирмой

**„ИКАЛТО“**

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—39)

ურბენი L'Urbai

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეოზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეოზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—45)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—59)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურ.“ (ვ. ბესიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნ